ამშაბათი, ივლისის 15 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 127

წელიწადი მესამე.

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

საბაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 30 მან., 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ; უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: ფიჩხაძის ს. ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

გულდამწვარი შვილები იზაბედა სიმონის ასული, რომანი და კლემენტი სიმონის ძენი, რძლები ნინო ალექსანდრეს ასული, მარიამ სტეფანეს ასული და ნატალია ივანეს ასული; დები: როზა, ანნა ბესარკოვის, ეკატერინე ბუდაგოვსკის, ელისაბედ პისკორსკის და მარიამ გოკიელის აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ—პირველნი საყვარელი დედის, მეორენი დედამთილის და მესამენი საყვარელი დის

ნინი იაკობის ასულის ანდრონიკაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა ოთხშაბათს ივლისის 16, საღამოს 5 საათზე. ლევაშოვის ქუჩა. ქაჩუხოვის სახლი. 2—1.

საქართველოს ერ.-დემოკრატიული პარტია.

დღეს, 16 ივლისს წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში საღამოს 7 საათზე მოხდება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზოგადო კრება

პარტიული კონფერენციის

შესახებ მოხსენებას გააკეთებს ბ-ნი **ალ. თოდრაძე.** პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დაკარგე **ქუთაისში ივლისის პირველ რიცხვებში პასპორტი მიღებული მოსკოვის კომისარიატისაგან**

მნახველს ვსთხოვ გადმომცეს რისოვისაც ადრევე უძღვნი მადლობას. მისამართი: მესხეთის ქუჩა თათარაშვილის სახლი. ევდოკია აბრამის ასული კოზლიკოვისა.

დაკარგე ბილეთი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებისა და ფული 500 მანეთი. **თედო გაბელიძე.** 1—1

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეშხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და საღ. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

აფხაზეთის გარშემო.

ორი კვირის წინად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრების ფრაქციამ დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა შეიტანა აფხაზეთის საქმეების შესახებ. შეკითხვის შეტანის დროს მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა რომ ჯერ ჩვენ ამ საკითხს გაცნობილი არა ვართო და საპასუხოთ ერთი კვირის ვადა მოითხოვეს.

გავიდა ეს ერთი კვირაც და ვადის გაგრძელება კვლავ მოითხოვეს. როგორც სჩანს საკითხი სერიოზული და რთულია ძაგრამ სამწუხაროა როდესაც მთავრობა არ იცნობს იმ კუთხის მდგომარეობას, ურომლისოთ საქართველოს პოლიტიკური არსებობა შეუძლებელია და რომელიც ისტორიულად მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის სხეულთან.

საქართველოს პატრონობა დღიდან რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა ისეთ ხალხს ჩაუვარდა ხელში, რომელნიც ნაკლებად იცნობს საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ ნაწილებს, ქართველი ხალხის ფსიხოლოგიას და თუ იცნობს, იცნობს მხოლოდ მუშათა ცხოვრებას.

აფხაზეთის საკითხი კი როგორც სახელმწიფოს განაპირა კუთხისა, მოითხოვს მეტ ყურადღებას და ზრუნვას არა მარტო მთავრობისაგან და პოლიტიკური ჯგუფებისგან, არამედ ფართო სიზოგადოებისგანაც.

ამ მხრივ ეს კუთხე მივიწყებული იყო დღემდის, არავის აგონდება დღესაც; მზადდება ანარქიის საშინელება და მტერთა ორგანიზაციული მუშაობა ცდილობს საქართველოს სხეულს იგი სამუდამოთ მოსწყვიტოს.

შეკითხვიდან სჩანს რომ აფხაზეთში არსებობს ორგანიზაციები, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედობს, აფხაზეთის სახალხო საბჭოს მცირედი ნაწილი კი აფხაზეთისათვის საკონსტიტუციო დებულებებს იმუშავებს.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი მტრების სისხლიანი ხელები მუშაობენ, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს მთავრობამ.

მეორე მხრით აქ ბრალი უდევს თვით ჩვენს მთავრობას იმ საშინაო პოლიტიკის წარმოებით, რომელსაც იგი ეყრდნობა დღეს. საგარო რეფორმები და ის უვარგისი მოხელეები, რომელიც იგზავნება განაპირა კუთხეებში აფრთხობს ადგილობრივ მკვიდრთ და მთავრობისადმი მტრულ განწყობილებას ბადებს მათში.

ამას ვერც აფხაზეთის ხალხი აცდა და ეს არის მიზეზი რომ აფხაზეთის ცხოვრება სულ სხვა სახეს ღებულობს.

ესეც არ იყოს ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ისეთი სახელმწიფო, სადაც ამ სახელმწიფოს სამტრო ორგანიზაციები მოქმედებდენ და მთავრობა მათ წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობდეს, მაგრამ ჩვენს მთავრობას ერთი რამ სჩვევია: რაც უნდა მოხდეს იგი ხმას არ ამოიღებს, არავითარ საშუალებას არ მიმართავს, სანამ საფრთხე უკიდურეს ხასიათს არ მიიღებს და თვით მთავრობას განსაცდელში არ ჩააგდებს.

სახელმწიფოს აღმაშენობლობითი მუშაობისათვის აუცილებელია დაწესებულებების ნაციონალიზაცია, სახელმწიფოებრივი ენის ხმარება, მაგრამ ჩვენი მთავრობა ამასაც ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას და ზოგიერთ შემთხვევებში მართველი პარტია და მისი პრესა ებრძვის ამას. ჩვენში დღემდის ყოველივე დაწესებულება აპრელებულია. საქმის წარმოება ქართულ ენასთან ერთად პარალერულად რუსულ ენაზედაც სწარმოებს და მოხელეები საუბრის დროს რუსულად ლაპარაკობენ.

სოხუმუს ოლქში კი, როგორც შეკითხვიდან სჩანს რუსულ ენას აქვს დათმობილი უპირატესობა და მოქალაქეებმაც კი იციან რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ენა, ქართული ენა არის. მთავრობის წარმომადგენელი ბ. ისიდორე რამიშვილი ამას გულ ხელდაკრებილი შეჰყურებს და თავის თანხმობასაც კი აცხადებს, რომ სასწავლებლებში კურს დამთავრებულებს სიმწიფის მოწმობები რუსულ ენაზე დაწერილი მიეცესთ სოხუმში.

მხოლოდ ეს ორი ფაქტიც ნათლად მოწმობას ჩვენი მთავრობის უმოქმედობას აფხაზეთის საქმეებში, მაგრამ რას ვხედავთ თვით ჩვენში, დედა ქალაქ თბილისში, **სამწყადმოქმედო სამინისტროში?!.**

მიწად-მოქმედების სამინისტრო გადაქცეულა რუსი მოხელეების დაწესებულებათ. აქ საპასუხისმგებლო ადგილებზე თავი მოუყრიათ ისეთ პირებს, რომელთა ოცნებას მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მოსპობა შეადგენს. ქართველები ამ დაწესებულებაში მხოლოდ თარჯიმანებისა და დარაჯების მოვალეობას ასრულებენ. რუსი მოხელეები უკანასკნელებს დასცინიან და ჩვენს სამტროდ ფარულად მუშაობენ. სხვა ბოროტმოქმედებას რომ თავი დავანებოთ რას ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტრო და რუსულად საქმის წარმოება და რუსული საქმის კეთება?!.

ამ რიგათ არის მოწყობილი ხომერიკის სამინისტრო და რა გასაკვირია თუ ჩვენი მთავრობა სოხუმის ოლქს ყურადღებას არ აქცევს?

მთავრობისგან ყურადღება და საქმის კეთება არის საჭირო ოთხერემ ჩვენ აფხაზეთს დავკარგავთ და მართველი პარტიის „დიდ ბატონებს“ ხელში შერჩებათ მხოლოდ სამინისტროს ოთახები და რუსი მოხელეები, რომელთა დაკმაყოფილება სალიკვიდაციოს სახით ისევ ქართველ ხალხს დააწვება.

საქ. ეროვნულ-დემოკრატიული მესამე კონფერენციის რეზოლიუციები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენციამ, რომელიც გაიხსნა ქ. თბილისში 5 ივლისს და დაასრულა თავისი მუშაობა 8 ივლისს სხვადასხვა მოხსენებებზე გამოიტანა შემდეგი რეზოლიუციები:

1. რეზოლუცია ბ-ნ იოსებ მაჭავარიანის მოხსენების მთავარი კომიტეტის განხილული წლის მოქმედების ანგარიში და ბ-ნ რ. ინგილოს მოხსენებაზე: პარტიული მდგომარეობა.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ. ბ. იოსებ მაჭავარიანისა და რაფიელ ინგილოს მოხსენებები: მთავარი კომიტეტის მოქმედებისა და პარტიული ცხოვრების შესახებ. კონფერენცია აღიარებს, რომ მთავარი კომიტეტი მტკიცედ მდგარა და შესძლების ფარგლებში ცდილა, მეორე კონფერენციის დირექტივები და სახელმძღვანელო პრინციპები ცხოვრებაში გაეტარებინა; აღიარებს, რომ პარტიის ინტერესისა და იდეოლოგიის საფუძველზე მდგარ მთავარ კომიტეტის ნაწილს მუშაობის ნაყოფიერობაში ხელის შემშლელად ჰყოლიან ის პირები, რომელნიც სხვადასხვა დროს ჯგუფ-ჯგუფად გავიდნენ კომიტეტიდან, ყოველგვარ ზნეობრივ მოვალეობის მოუხდელად პარტიის უზენაესი ორგანო—კონფერენციის წინაშე, რომელმაც ისინი მთავარ კომიტეტში ირჩია და პასუხისმგებელი უფლებით აღჭურვა; კონფერენცია სასურველად სცნობს იდეოლოგიის და ორგანიზაციის ორგული ხალხის მთავარ კომიტეტიდან და პარტიიდან წასვლას; აღნიშნავს, რომ შეუძლებელი იყო ამ პროვოკაციზმებს არ მოჰყოლოდა დროებითი და გარდამავალი ხასიათის კრიზისები, რომელიც, უნდა ითქვას, პარტიამ გაუჭირვებლად გადაიტანა და იმდენს გახდა, რომ ასეთ პირობებში დამფუძნებელ კრების არჩევნებზე ორჯელ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებზე; კონფერენეცია დიდ შედეგებს მოელის ამ გამოთიშულ ელემენტების ჩამოშორებისაგან ჩვენი იდეოლოგიური და ორგანიზაციული სიმტკიცის ასაგებად.

2. რეზოლიუცია ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენებაზე: საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში.

საქ. ეროვ.-დემ პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენება პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის შესახებ; აღნიშნავს, რომ ფრაქციას აღუნიშნავად და დაუფასებლად არ დარჩენია არცერთი ღირს შესანიშნავი მომენტი და მოვლენა ჩვენი სახელმწიფოებრივ. ცხოვრებისა და რომ მისი გამოსვლები ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესით იყო ნაკარნახევი და ატარებდა საქმიან კრიტიკის ხასიათს. კონფერენცია სრულის პოლიტიკურის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ფრაქცია, ყოველ გარეშე საფრთხისა, თუ საქართველოს ფარგლებში მომქმედ შინაურ პატრების მიერ შექმნილ შინაურ გართულების დროს, ყოველთვის შინაური ფრონტის გაერთიანებისა და განმტკიცების მოკიქულად გამოსულა და მხარი დაუჭერია საქართველოს მთავრობისათვის. კონფერენცია ავალებს საპარლამენტო ფრაქციას გააცხოველოს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებელი პრინციპებისა და ყოველი მისი ცდომილების მხილსეა, იქნება-რა ამავე დროს, ყოველთვის მთავრობასთან ერთად, საქართველოს როგორც გარეშე ისე შინაურ მტრების წინააღმდეგ.

3 რეზოლუცია ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენებაზე: „პროგრამის პოლიტიკური ნაწილი“

საქ. ეროვ.-დემოკ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ გ. გვაზავას მოხსენება პროგრამის პოლიტიკური ნაწილის შესახებ და პარტიულ მოქმედების საგნდა დაისახა:

1) საქართველოს სუვერენობის დაცვა.

2) დაცვა და განმტკიცება სახელმწიფოს წყობილების დემოკრატიულ და რესპუბლიკურ საფუძველებისა.

3) ფართოდ გატარება ცხოვრებაში საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სამოსამართლო ფუნქციათა დაყოფვის პრინციპისა.

4) რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის დაწესება.

5) საკანონმდებლო ორგანოს ერთპალატიანობა.

6) საარჩევნო სისტემის ოთხფორმულიანი და პროპორციული ხასიათი.

7) საქართველოს საარჩევნო ოლქებად დაყოფვა.

4. რეზოლიუცია ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მოხსენებაზე: „ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა“.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ ნ. ნიკოლაძის მოხსენება ჩვენი საფინანსო და ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, და მიიღო შემდეგი დებულებანი:

1. საქართველოს ფინანსიური და ეკონომიური პოლიტიკა უნდა დაფუძნდეს იმავე პრინციპებზე, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ მეომარ სახელმწიფოებს დიდი ომის დროს, ესე იგი რაც შეი-

ძლება მეტად უნდა გავაძლიეროთ შინაური წარმოება და გადამუშავება ნედლი მასალისა, ხოლო ჩვენი ნაწარმოების უცხოეთში გაზიდვა ისეთის ფორმით და იმ სისტემით უნდა მოეწყოს, რომელიც უცხო ბაზარზე უზრუნველ ჰყოფს მის ნამდვილ ფასს და სამაგიეროთ მიგვაღებიებს ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საქონელს ნორმალურს ფასებში. ამ მიზნით უნდა იქმნეს გამოყენებული თვით სახელმწიფოს როლი სხვადასხვა სახით.

2. საქართველომ უნდა დაიარსოს თავისი საკუთარი ვალიუტა.

3. საქართველოს უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფო ბანკი, აღჭურვილი ემისიის უფლებით.

4. რუსეთის ბანკების, დამზღვევ საზოგადოებების და საპენსიო კასების გაყოფილებანი საქართველოში უნდა გაუქმდნენ და მათი პასივის ანგარიში საფუძვლიანად უნდა იყოს გამოკვლეული და უზრუნველყოფილი.

5 რეზოლიუციაა ბ-ნ ა. ასათიანის მოხსენებაზე: აგრარული პოლიტიკა.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ ა. ასათიანის მოხსენება შესახებ აგრარულ პოლიტიკისა საქართველოში და დაადგინა:

რევოლიუციურის გზით მოხდენილმა აგრარულმა რეფორმამ დიდი არევ-დარევა შეიტანა ჩვენს სახალხო მეურნეობაში და სრულიად ვერ გაუმჯობესა მიწა-ნაკლულ მშრომელთა მდგომარეობა.

სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვს დაუყონებლივ გადასინჯული შეცვლილი და შევსებული იქმნას რეოლიუციის დროს გამოცემული დეკრეტები.

1. ამიერ-კავკასიის სეიმის 7 მარტის დეკრეტით, დაწესებული მფლობელობის ნორმა შეცვლილი მფლობელობის ნორმა შეცვლილი უნდა იქმნას თანახმად სახალხო მეურნეობის სხვა და სხვა კუთხის სამეურნეო პირობებისა.

2. მიწის ჩამორთმევის კანონი არ უნდა შეეხოს უმაღლეს ინტენსიურ კულტურის მეურნეობებს. ხოლო, როდესაც ასეთი მეურნეობა სახელმწიფოსთვის არის საჭირო და მის გამგებლობაში უნდა დარჩეს, მისი გამოსყიდვა და ჩამორთმევა უნდა მოხდეს საერთო წესით.

3 დაწესებულს ნორმაზე ზევით ჩამორთმეულს მიწებში რესპუბლიკის მთავრობამ უნდა მისცეს მეპატრონეთ ზომიერი სასყიდელი სახელმწიფო რენტით.

4. სახელმწიფო ფონდში გადასული მიწები უნდა მოხმარდეს მიწა ნაკლულ მშრომელთა საჭიროების დაკმაყოფილებს და უნდა გადაეცეს მათ სრულს საკუთრებად შეღავათიან ფასებში და გძელ ვადიან სესხად.

5. რესპუბლიკის განაპირა მიწები უნდა გამოყენებულ იქმნას შინაურ კოლონიზაციისთვის და იქ საქართველოს მთავრობის მიერ ჩასახლებულთ მიწა უნდა მიეცეს განსაკუთრებულად შეღავათიან პირობებში და ამავე დროს მთავრობამ მათ დახმარება უნდა აღმოუჩინოს დასახლებასა და სახლ კარობის გაშენებაში.

უკანასკნელი ცნობები.

(საქ. დეპ. სააგენტო)

გენ. ნათიევის შესახებ

გასული ივნისის 9 გენ. რომანოვსკის ბათომში მიუღია დეპეშა, რომელიც ერთნაირ ნათელს ჰფენს მოკლულ გენ. ნათიევის პიროვნებას.

ბათომი. გენ. რომანოვსკის. გენერალ ლუკომსკი ბრძანებს აეკრძალოს ნათიევს ყოველგვარ რაზმის შედგენა და დაუყოვნებლივ გამოიგზავნოს ეკატერინოდარში. საჭიროა ამის გაკეთება ფრთხილად, თორემ შესაძლებელია ნათიევს ეპვი აღეძრას და მიიმალოს. ეკატერინოდარი 1919 ივნისის 9. ვიაზემიტინოვი.

მოხალისეთა დამარცხება.

ბაქოს გაზეთების ცნობით კასპის იჯითა მხარეს საბჭოთა ჯარმა დაამარცხა მოხალისენი. ივლისის 6 წითელმა არმიამ აიღო სად. ანაუ, რომელიც ასხაბადზე 9 ვერსის მანძილზეა, შინგ ქალაქში მოხალისეთა მცირე ნაწილი დარჩა. ქალაქიც იმავე დღეს აიღეს.

წითელ არმიელებს ხელთ უგდიათ დიდ ძალი ქონება და სურსათი. მოხალისეებმა ასხაბადის დატოვების დროს ელექტრონის სადგური და წისქვილი ააფეთქეს. დასწვეს ნავთი, დაანგრიეს ქალაქის დიდი შენობები.

ასხაბადიდ ან აუარებელი ლტოლვილი მიისწრაფვის ბაქოსკენ. კრასნოვოდსკში გამოქცეულთათვის გაიგზავნა ხუთი გემი ბაქოში გამოსამგზავრებლად.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი.

ბაქოს გაზ. „ბაკინსკაია ჟიზნ"-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობით, საზავო კონფერენციამ თანხმობა გამოაცხადა საქართველოსა და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. ეს სახელმწიფონი უნდა ფედერატიულად გაერთიანდნენ და რუსეთის 6 მილიარდ მანეთის ვალი იკისრონ.

ახალი ამბავი

პარტიული კრება. დღეს 15 ივლისს საღამოს 7 საათზე, წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა საერთო კრება. მოხსენებას საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული მესამე კონფერენციის შესახებ გააკეთებს ბ-ნი აღექსანდრე თორაძე. პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

→ იტალიელი ვაჭრების ჩამოსვლა. გუშინ ქუთაისში ჩამოვიდენ იტალიელი ვაჭრები. მათ განზრახული აქვთ შეიძინონ ჩვენში აბრეშუმის პარკი. როგორც გავიგეთ იტალიელი ვაჭრები პარკში საკუთარ ფულს იძლევიან, უკიდურეს შემთხვევაში ოქროს ფულსაც.

→ „შავარდენის" საზოგადოება. დღეს 15 ივლისს, შუადღის 12 საათზე რეალური სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია „შევარდენის" საზოგადოების დამფუძნებელი კრება. კრებაზე დასწრება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირებს.

→ გაზეთის ფონდი. პურ-ღვინით მოვაჭრეთა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარის ს. აბაკელიასაგან გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად მივიღეთ 120 მანეთი, რომელიც შეგროვებულია თავიანთ წევრთა შორის.

→ კირკულიარი ჯარში გაწვევის შესახებ. მთავრობის თავმჯდომარემ ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს დაუგზავნა ცირკულიარული მოწერილობა შემდეგი შინაარსის: ცნობილია, რომ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მსახურებენ ისეთი პირნი რომელნიც ვალდებულნი არიან მოიხადონ სამხედრო ბეგარა, რის შეუსრულებლობა შეუწყნარებელია საზოგადოთ და კერძოთ დღევანდელ რთულ მომენტში, როდესაც თითეული ჯარისკაცი მეტად საჭიროა ფრონტზე ამიტომ განკარგულებას ვაძლევ ყველა ზემოხსენებულ დაწესებულებებს შეადგინონ სიები მოსამსახურე პირთა და თუ მასში აღმოჩნდენ ისეთები, რომელნიც სამხედრო ბეგრის მოხდას გაურბიან, დაუყონებლივ დაითხოვონ სამსახურიდან და მათ შესახებ ეცნობოს სათანადო უწყებას.

→ მისასალმებელი დეპეშა ზემო სვანეთიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ზემო სვანეთის დელეგატთა ყრილობიდან შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: „ზემოსვანეთის დელეგატთა ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და აღუთქვას მათ ყოველგვარ დახმარებას, სამშობლოს დაცვის საქმეში".

→ ოსეთში საერობო ერთეულის შემოსაღებად. შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას წარუდგინა პროექტი, მთა-ოსეთში საერობო ერთეულის შემოღების შესახებ. პროექტის წინასწარ განსახილველად შესდგა საგანგებო კომისია, შინაგან საქმეთა, იუსტიციის (თავმჯდომარეობით) და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან.

→ ერობისა და მთავრობის ურთიერთ დამოკიდებლობის შესახებ. მთავრობის დადგენილებით, ერობისა და მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულების შესამუშავებლად შესდგება საგანგებო კომისია, სათანადო უწყებათაგან, კომისია დებულებას შეიმუშავებს ერობათა ცენტრალურ ბიუროსთან ერთად.

→ კლასის დამრიგებელ ქალთა თანამდებ. გაუქმება. განათლების მინისტრის განკარგულებით მომავალ სამოსწავლო წლიდან ქალთა გიმნაზიებში კლასის დამრიგებელი ქალთ ინსტიტუტი გაუქმებული იქმნება.

→ სეირნობა სადმო. შაბათს, 19 ივლისს, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ბაღში ამავე სასწავლებლის დარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ გაიმართება დიდი სეირნობა-საღამო.

მოწოდება.

ქუთაისის მაზრის სახალხო მასწავლებლებისადმი.

ამხანაგებო! ჩვენ, სახალხო მასწავლებელნი, მიუხედავათ იმისა, რომ სასარგებლო შრომას ვეწეოდით და ვეწევით ყოველთვის, მდგომარეობა ჩვენი მაინც აუტანელი იყო და არის ახლაც სხვა დარგის მუშებთან შედარებით. ეს აიხსნება მით, რომ ჩვენ არ მოგვეპოვებოდა ისეთი კავშირი, რომელსაც ანგარიშს გაუწევდა, ვისზედაც დამოკიდებული იყო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება: ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობის მიზეზი ჩვენვე ვიყავით და ვართ. თვითეული ჩვენგანი სუსტი უძლურია, მაგრამ შეკავშირებულნი ერთ მჭიდრო კავშირში ძალას წარმოვადგენთ.

საგუბერნიო კავშირი გვაქვს, მაგრამ ამ კავშირის დაარსების შემდეგ ისეთი ღრმა ცვლილებები მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ აუცილებელი შეიქმნა ჩვენი კავშირის სახეც შეცვალოთ, მით უმეტეს რომ საგუბერნიო კავშირი ძველ პირობებშიც ვერ ასრულებდა მას, რაც საჭირო იყო.

იქონია რა მსჯელობა ამ ჩვენი ცხოვრების ახალი პირობების და ახალი კავშირის დაარსების შესახებ ქუთაისში საზაფხულო კურსებზე მყოფ მასწავლებლებმა დაადგინეს: მოწვეულ იქნეს 20 კვირკობისთვეს ქუთაისის მაზრის დაბალ და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელთა მასწავლებლების ყრილობა, რომელმაც უნდა დააარსოს სამაზრო კავშირი. ქუთაისის მაზრამ ამ მხრივ დაიგვიანა: ბევრმა მაზრებმა ასეთი კავშირები უკვე შეჰკრეს.

ამიტომ აუცილებელია აღნიშნულ დროზე ე. ი. 20 კვირიკობისთვეს ქუთაისის მაზრის ყველა მასწავლებელნი დაესწრონ სამაზრო ყრილობას, რომელიც გაიხსნება კლასიკურ გიმნაზიის შენობაში დილის 9 საათზე.

სამაზრო ყრილობის მომწვევი კომისიის წევრნი **ალ. აფხაიძე. ივანე ბურძაძე ალ. ბარბაქაძე.**

სანადგილ-მაგულო განკის გარშემო.

არ შემიძლია მოქალაქეთა საყურადღებოთ არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საადგ. მამულო ბანკში გასული წლის ხუთ ქრისტეშობისთვეს ამ დღეს აქ გაიყიდა ქუთაისში მდებარე სამი საუკეთესო მამული ჩალის ფასათ, მოხერხებით, ეს მამულები შინაურის საქმის შეკეთებით შეიძინეს ამავე ბანკის შინა კაცებმა, ე. ი. ბანკის დარაჯებმა: ერთი მამული 200 ათას მანეთიანი, რომელიც ეკუთვნოდა ვარლამ ჭეიშვილს და მეორე მამულიც სანდრო კოსტავას ობლების, ხუთი ქცევა მიწა, რომელიც დღეს აგრეთვე ვაჭრობის დღეს ღირდა 150 ათასი მანეთი, ყოველი მოცილეთა მოშორებით, და ან და თავისივე მეგობრების ხელის შეწყობით დაურჩენია დარაჯს ტიმოთე ხაბურზანიას სულ-40-40 მანეთს ნედლიმკებში. აქვე უნდა აღვნიშნო, რო ეს ხაბურზანია იმდენათ სინდისიერი გამოდგა რომ ეს მამულები თავისი სურვილის და შეგნებისამებრ უსასყიდლოთ დაუბრუნა მეპატრონეებს. მესამე მამული, რომელიც ღირდა მაშინ და ეხლაც ღირს მილიონ მანეთზე მეტი და ეკუთვნის რუსეთში გადაკარგულს და უგზო უკვალოთ დაკარგულს სილოვან მოსიავას ასეთი ხრიკებით, მოხერხებით და ზოგიერთი ნოსამსახურეების მოხმარებით ჩაუგდია ხელში ამავე ბანკის კარის კაცს პეტრე მალაქიას ძეს ბაბუნაშვილს მასაც რასაკვირველია ბანკის სარგებელში სულ 155 მ. 30 კ. რომ ბანკის გამგეობას სამართლიანობა ეხმარა ეს მამული არ უნდა გაეყიდათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩირის ფასათ ჩაუგდეს ხელში დარაჯს. რა თქმა უნდა ამ ვაჟბატონმა ისარგებლა მით, რომ მამულის პატრონი დღეს და თითქმის ორწელზე მეტია ქუთაისში არ იმყოფება. ზოგმა ვერც კი გაიგო, რომ ვაჭრობა ახალი სტილით ხდებოდა, ამ შინა კაცმა კი ეს ყოველივე იცოდა რადგან დღე და ღამე იქ იმყოფება, ამიტომ იშოვა დრო მოძმის გაჭირვებას თავისი პირადი სარგებლობა და გამდიდრება ანაცვალა და განზრახ ჩაიდინა ასეთი ბოროტება, ბანკის გამგეობაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, ასე რომ ერთმა დირექტორთაგანმა ბ. ლორთქიფანიძემ ბაბუნაშვილზე ამ მამულის დამტკიცებაზე უარიც განაცხადა, ვინაიდან ამ ვაჭრობას ის უკანონოთ და ბაბუნაშვილის მიერ მოხერხებულათ სთვლიდა. აქვე უნდა აღვნიშნო რო ბ. ლორთქიფანიძე დიდი სიმართლის და სინდისის მქონეა და ვაგლახათ ამისთანა ბოროტებაში მონაწილეობას არ მიიღებს თუ მან ეს დროზე გაიგო, და ამ შემთხვევაშიდაც სწორეთ ასე მოიქცა რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

აღსანიშნავი და კიდევ საყურადღებო ის არის რომ, ბანკს ამ მამულის ვაჭრობის დანიშვნის დროს ბევრი მუხლები თავის წესდებისა დარღვეული აქვს რომელიც დამტკიცებული იქნება სასამართლოს წინაშე. ჩვენ არა გვჯერა რომ ქუთაისის მომრიგებელმა მსაჯულმა ასეთ მოხერხებულ და განზრახ ჩადენილ ბოროტებას არ მიაქციოს ყურადღება და ნამდვილი სიმართლე არ აღადგინოს ამის შესახებ. საქმე უკვე აღძრულია მსაჯულის წინაშე რათა ვაჭრობის ფურცელი შემდგარი ამ მამულზე საადგილ მამულო ბანკში ... ქრისტეშობისთვეს ... ბანკის - გამგეობისა ... მამულის დამტკიცებისა - იყვნენ ცნობილ... არა სამართლიანათ, გაბათილებულად ... გაუქმებულად.

მგონია რომ ბანკის გამგეობა არა ნაკლებ ზომებს მიიღებს რომ ბაბუნაშვილს უარი ათქმევიოს ამ მამულზე და დააბრუნებიებს მის ძველ მეპატრონე მოსიავას სახელზე, და ამით ბანკის გამგეობა აიცილებს მოცხებულ ლაქს და არ გადაიკიდებენ ბანკს მოქალაქეთა გამაკოტრებელ დაწესებულებათ.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს რომ ბანკის მხრით საქმე უმტკივნეულოთ ჩატარდება და მამული ისევ ძველ მეპატრონეს დაუბრუნდება.

ბაღის ქუჩელი.

საზოგადო საკრებულო.

(მცირე შენიშვნა).

მეტად სამწუხარო და სავალალო მოვლენას ქონდა ადგილი ქუთაისის საზოგადო საკრებულოში ამ დღეებში.

რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს, თუმც შეურიგებელი იყო, მაგრამ მაინც გასაგები რუსულ ენაზე წამოძახილი ციფრები, შევრიგებოდით ამ ამ წვრილმალს როგორც ძალით შეგვარიგეს ყოველივე რუსულს.

გამოცხადდა დამოუკიდებლობა და ამ გვარ მოვლენას ბოლო უნდა მოღებოდა სურათი კი სულ სხვანაირი მივიღეთ. ქუჩების სახელი რუსული, მაღაზიების წარწერები რუსულათ.

დემოკრატობა სასაცილო კურიოზამდე დავიყვანეთ. შეიკრიბება ორმოცი კაცი, ერთ მათგანმა ქართული არ იცის. დემოკრატობა მოითხოვს რუსულ ენაზე ლაპარაკსო და სხვა.

საზოგადო საკრებულოშიც ასე არის. დღევანდლამდი რუსულათ ითვლიან ციფრებს ლოტოს თამაშის დროს. ასეთ მაგალითს ქონდა ადგილი. ერთი კაცი მივიდა და სთხოვა ბორბლის გადამბრუნებელს ქართულათ ეთქვა, რადგან „ზოგიერთებს რუსული არ ესმითო". ეს სამართლიანი მოთხოვნა მამასახლისს ბ-ნ მოსიძეს საფუძვლიანათ იცნო და ქართულ ენაზე დაიწყო ციფრების თქმა.

„ქართველ" დედებს, მომავალ ქართველ მამულიშვილთა აღმზრდელთ არ სცოდნიათ ქართულათ თვლა ასამდის; ვერ გადმოუთარგმნიათ, არ იციან რამდენი ან როგორ იქნება ქართულათ „тридцать три" და გაუგებარია მათთვის „ოცდა ცამეტი".

უნდა გენახათ რა ფიქილ-ხიქილი მოყვა ქართულად ნათქვამ „სამოცდა ჩვიდმეტს".

რაკი ასეთი უსუსურობა დაინახა ბ-ნ მოსიძემ რუსულათ დაწყებია მეორეს თარგმნა. მხოლოდ ის უპირატესობა კი შერჩა ქართულ ენას, რომ ციფრი ჯერ ქართულად დაიბადება და შემდეგ რუსულად მონათლავენ!

ვერცოგი.

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.				
პირდაპირი	№ 3—5	ს.	50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	—	80—	—
საფოსტო	№ 3—7	ს.	40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1	ს.	50—	ღამით
ბათომიდან.				
პირდაპირი	№ 72—1	ს.	30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5	—	—	დილ.
ჩქარი	№ 2—1	—	50 წ.	ღამ.
ფოთიდან.				
პირდაპირი	№ 36—8	ს.	28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12	ს.	55 წ.	—
ტყიბულიდან.				
სამგზავრო	№ 81—10	ს.	20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5	ს.	30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.				
პირდაპირი	№ 12 -11	ს.	47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10	ს.	2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10	ს.	10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6— 3	ს.	17 წ.	ღამით
ბათომისაკენ.				
პირდაპირი	№ 44—4	ს.	40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3	ს.	30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6	ს.	—	წ. დილ.
ფოთისაკენ.				
პირდაპირი	№ 35—3	ს.	25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5	ს.	50 წ.	დილ,
ტყიბულისაკენ.				
საფოსტო	№ 4—7	საათზე		დილას.
სამგზავროს	№ 82—		4 წ.	საღამოს.

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.